

ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #35

2024წ. 25 აპრილი 16.00 საათი

ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
ნ.რუხაძე, მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ქვარა ჩართოლანი - ქ. თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე

არჩილ გორდულაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
თავმჯდომარე

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე

ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა
გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N4; მარშალ გელოვანის გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.465, ფართობი - 3 938 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-032409572-03 04.04.2024
2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ; N01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ; N01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
12-032411023-03 19.04.2024წ.
3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059, ფართობი - 2 572 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-032411576-03 24.04.2024წ
4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იაღბუზის ქუჩა N4; N6; N6ა; N8; N8ა; N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.032, ფართობი - 1 899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-032411610-03 25.04.2024წ.
5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1 617 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
N:12-03241166-03 25.04.2024წ
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

12-032411571-03 24.04.2024 წ.

1. მოსმინეს:

„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N4; მარშალ გელოვანის გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.465, ფართობი - 3 938 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

საკითხის განხილვა გადაიდო

2. მოსმინეს:

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა მერის ბატონი კახა კალაძის წერილი #N: 12-032411023-03 კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ; N01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ; N01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული სექტორების მიხედვით: N01.18.01.004.321, ფართობი 2 739 - სექტორი I კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე; N01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ - II სექტორი - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ, III სექტორი - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე; N01.18.01.004.325, ფართობი 5 010 კვ.მ, IV სექტორი - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ, V სექტორი - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259, VIII სექტორი - კ2=1.4-დან კ2=1.6-მდე, რაც გულისხმობს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე 6 სართულიანი შენობების განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას

გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N0124039939-67 (01240441444-67; 01240921252-67; 01240962990-67; 01240994223-67; 01241033777-671; 0124107648-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნები.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 3 955 421.73 ლარით.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარშიძემ

3. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბატონი ვახა კალაძის წერილი #12-032411576-03 „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059, ფართობი - 2 572 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 1 სართულის დამატებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 488 618.37 (ოთხას ოთხმოცდარვა ათას ექვსას თვრამეტი და ოცდაჩვიდმეტი მესაედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.

კომისიამ აღნიშნულ საკითხზე მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

4. მოისმინეს:

ნინო ზაგაშვილმა წარმოადგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბატონი კახა კალაძის წერილი #12-032411610-03 „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იალბუხის ქუჩა N4; N6; N6ა; N8; N8ა; N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.032 ფართობი - 1 899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.8-მდე, რაც გულისხმობს 10 მიწისზედა სართულის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1 012 862.09 (ერთი მილიონ თორმეტი ათას რვაას სამოცდაორი და ცხრა მესხედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

დაინტერესებულმა პირმა თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

5. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბატონი კახა კალაძის წერილი #12-03241166-03 25.04.2024 წ. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო

კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1 617 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=6.5-მდე, რაც გულისხმობს 13 მიწისზედა სართულის განთავსება. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1 167 566.57 (ერთი მილიონ ას სამოცდაშვიდი ათას ხუთას სამოცდაექვსი და ორმოცდაჩვიდმეტი მესადა) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

6. მოსმინეს:

ქ.თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილემ ქვარა ჩართოლანმა კომისიის სხდომაზე დეკლარაციას წარუდგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ კახა კალაძის წერილი #12-032411571-03 თარიღი: 24.04.2024 წ., „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 10 აპრილის N24.593.672 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის“, კერძოდ:

ა) მე-8 მუხლი მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. არსებული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, პროექტის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით, დაინტერესებული პირის საკუთრებაში შესაძლებელია ჩათვალოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფართი ან მისი ნაწილი, თუ იგი კეთილმოწყობილია და ფაქტობრივად გამოიყენება საცხოვრებლად, რაც დადასტურებული იქნება მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონული გამგეობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციითა და ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. ამასთანავე, დაინტერესებული პირების საკუთრებაში არ იანგარიშება რეგისტრირებული საცხოვრებელი ან/და კომერციული სტატუსის მქონე ფართები, რომელთა ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ფართის დანიშნულებას.“

ბ) მე-8 მუხლს, მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში, სადაც შენობის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელების მომენტისათვის შეუძლებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფართების კომერციული ან/და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენების ფაქტის დადგენა, აღნიშნული ფართების სტატუსი დგინდება ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით და შემდგომში იანგარიშება დაინტერესებული პირის საკუთრებად.“

გ) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ავარიული სახლის ადგილას ახალ შენობა-ნაგებობის აშენების, ექსპლუატაციაში მიღების, ამ წესის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სარემონტო სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი ფართის გადაცემამდე;“

დ) მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში გადასაცემი საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

ა) ფართის გარე პერიმეტრზე მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრის სტანდარტული მასალით და ფურნიტურით დამონტაჟებას;

ბ) ფართში შესასვლელი რკინის კარის დამონტაჟებას, საკეტივით;

გ) შიდა კედლების სატიხრე ბლოკით ამოყვანასა და გალესვას;

დ) იატაკის მოჭიმვას ცემენტის ხსნარით, სველი წერტილების გარდა;

ცენტრალური ელექტროგაყვანილობის ფართში შეყვანას;

ვ) შიდა ელექტროგაყვანილობის სტანდარტული ქსელის მოწყობას;

ზ) გაზის გარე ქსელის მონტაჟს (დგარები) მრიცხველის გარეშე;

თ) წყლისა და კანალიზაციის დგარების მონტაჟს;

ი) როზეტებისა და გადამრთველებისთვის ადგილების გამზადებას.

2. ჩანაცვლებულ შენობა/ნაგებობაში დაინტერესებული პირისათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის რემონტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

ა) გაზმომარაგების სისტემის მოწყობას;

ბ) საკომუნიკაციო მილგაყვანილობების (წყალი, საკანალიზაციო წყალარინება) მოწყობას;

გ) წყალმომარაგების ქსელის და საკანალიზაციო მილგაყვანილობის დგარების მოწყობას;

დ) ელექტროჩამრთველების, როზეტებისა და სანათების მოწყობას;

ე) გათბობის მილების მოწყობას;

ვ) სააბაზანოში კედლებსა და იატაკებზე კერამიკული ფილების გაკვრა-დაგებას, პლასტიკატის შეკიდული ჭერის მოწყობას, სანიტარიული ფურნიტურის (ხელსაბანი ნიჟარა (შემრევითა და სიფონით), გამწოვი, საშხაპე, უნიტაზი) მონტაჟს, იატაკების მოჭიმვას ქვიშა-ცემენტის ხსნარით;

ზ) სამზარეულოში კედლებსა და იატაკებზე კერამიკული ფილების გაკვრა-დაგებას, წყლის ნიჟარის (შემრევით და სიფონით) მონტაჟს და მისი სადგამი კარადის მოწყობას;

თ) ლამინირებული იატაკის დაგებას;

ი) თაბაშირმუყაოს ფილებით ჭერის მოწყობას, სველი წერტილებისა და აივნების გარდა;

კ) კედლებისა და ჭერის შეფითხვნას და შეღებვას;

ლ) აბაზანის, სამზარეულოსა და აივნის ჰიდროსაიზოლაციო მასალით დამუშავებას;

მ) ფართის შიდა ღიობებში კარის ჩასმას (კომპლექტით);

ნ) ფანჯრის რაფების მოწყობას (შიდა მხარეს).“

ე) მე-11 მუხლს, მე-2 პუნქტის შემდგომ, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს მისთვის განკუთვნილი ფართის გარემონტებაზე, რის შესახებაც წერილობითი განცხადება უნდა წარედგინოს პროექტის განმახორციელებელს სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე. რემონტზე უარის გაცხადების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს საცხოვრებელი ფართი ჩაბარდება თეთრი კარკასის მდგომარეობით, ხოლო მისთვის კომპენსაციის გაცემა შეწყდება, სხვა დაინტერესებული პირების მსგავსად, ახალ აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში დაინტერესებული პირებისთვის გადასაცემ ბინებზე პროექტის განმახორციელებლის დაკვეთით წარმოებული სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, რის შესახებაც წერილობით ეცნობება დაინტერესებულ პირს ან/და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს.

4. ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას დაინტერესებული პირისგან მომდინარე ნებისმიერი ხელშეშლა შესაძლებელია გახდეს პროექტის განმახორციელებლის მხრიდან ამავე პირის სასარგებლოდ შესასრულებელი ნებისმიერი სამუშაოს (მათ შორის, სარემონტო) შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.“.

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს: ლ.არველაძე, გ.შარაშიძემ. ა.ხუჯაძემ

მოწვეულმა სტუმრებმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ განხილული ყველა საკითხი შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



ლ.არველაძე